Research

jobs.ge

დასაქმების თრექერი
საქართველო

ივნისი 2025

ადამიანების რაოდენობა, რომლებიც იღებენ ხელფასს

- **2025 წლის ივნისში ადამიანების რაოდენობა, რომლებიც იღებდნენ თვიურ ხელფასს, გაიზარდა** 2025 წლის მაისთან შედარებით 0.5%-ით, ხოლო 2024 წლის ივნისთან შედარებით - 3.4%-ით და 997,254 შეადგინა.*

- **2025 წლის ივნისში იმ ადამიანების რაოდენობა, რომლებიც იღებდნენ 0-დან 600 ლარამდე თვიურ ხელფასს, 12.4%-ს შეადგენდა**, რაც 2025 წლის მაისთან შედარებით 0.2 პროცენტული პუნქტით, ხოლო 2024 წლის ივნისთან შედარებით 3.3 პროცენტული პუნქტით შემცირებული მაჩვენებელია.

- **2025 წლის ივნისში იმ ადამიანების რაოდენობა, რომლებიც იღებდნენ 2,400 ლარს ან მეტ თვიურ ხელფასს, 32.8%-ს შეადგენდა**, რაც 2025 წლის მაისთან შედარებით 0.9 პროცენტული პუნქტით, ხოლო 2024 წლის ივნისთან შედარებით 6.6 პროცენტული პუნქტით გაზრდილი მაჩვენებელია.

- **2025 წლის ივნისში იმ ადამიანების რაოდენობა, რომლებიც იღებდნენ 9,600 ლარს ან მეტ თვიურ ხელფასს, 2.8%-ს შეადგენდა**, რაც 2025 წლის მაისთან შედარებით 0.1 პროცენტული პუნქტით, ხოლო 2024 წლის ივნისთან შედარებით 0.6 პროცენტული პუნქტით გაზრდილი მაჩვენებელია.

გრაფიკი 1: ადამიანთა რაოდენობა, რომლებიც იღებენ ხელფასს, სახელფასო კატეგორიების მიხედვით



გრაფიკი 2: ადამიანთა რაოდენობა, რომლებიც იღებენ ხელფასს, მათი ზრდა და წილი სახელფასო კატეგორიების მიხედვით



* შემოსავლების სამსახურის მონაცემები არ არის საბოლოო და შეიძლება მცირედით გაიზარდოს (ბოლოს განახლდა 20.07.2025; მონაცემები წარმოადგენს დარიცხულ ხელფასს).

** 2400+ ლარის მიმღებ პირთა დაფიქსირებული დიდი წილი 2024 წლის დეკემბერში სავარაუდოდ გამოწვეული იყო მე-13 ხელფასის მიმღებ პირთა მნიშვნელოვანი რაოდენობით.

წყარო: შემოსავლების სამსახური

Jobs.ge-ზე გამოქვეყნებული ვაკანსიების რაოდენობა

2025 წლის ივნისში jobs.ge-ზე 7,759 ვაკანსია გამოქვეყნდა, რაც 2025 წლის მაისთან შედარებით 6.4%-ით მეტი, ხოლო 2024 წლის ივნისთან შედარებით 1.0%-ით ნაკლებია. თვიურ ჭრილში ყველაზე დიდი ზრდა დაფიქსირდა ადმინისტრაციისა და მენეჯმენტის კატეგორიაში (+11.1%), ხოლო ძირითად კატეგორიებს შორის ყველაზე მცირე - ფინანსების კატეგორიაში (+2.6%). წლიურ ჭრილში, ყველაზე დიდი ზრდა დაფიქსირდა ინფორმაციულ ტექნოლოგიებსა და პროგრამირებაში (+16.0%), ხოლო ყველაზე დიდი კლება – ლოგისტიკის, ტრანსპორტისა და დისტრიბუციის კატეგორიაში (-10.3%).

2025 წლის აპრილიდან 2025 წლის ივნისის ჩათვლით, გამოქვეყნდა 21,626 ვაკანსია, რაც 2024 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 7.5%-ით შემცირებული მაჩვენებელია. აღნიშნულ პერიოდში, ყველაზე დიდი, 15.4%-იანი, კლება დაფიქსირდა ლოგისტიკის, ტრანსპორტისა და დისტრიბუციის კატეგორიაში.

გრაფიკი 3: Jobs.ge-ზე გამოქვეყნებული ვაკანსიების რაოდენობა



Jobs.ge-ზე გამოქვეყნებული ვაკანსიების რაოდენობა კატეგორიების მიხედვით

- **2025 წლის აპრილიდან 2025 წლის ივნისის ჩათვლით, 4,355 ვაკანსია გამოქვეყნდა ფინანსებისა და სტატისტიკის კატეგორიაში,** რაც 2024 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 6.0%-ით მეტია.

- **2025 წლის აპრილიდან 2025 წლის ივნისის ჩათვლით, 815 ვაკანსია გამოქვეყნდა ინფორმაციული ტექ-ნოლოგიებისა და პროგრამირების კატეგორიაში,** რაც 2024 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 5.7%-ით მეტია.

- **2025 წლის აპრილიდან 2025 წლის ივნისის ჩათვლით, 5,540 ვაკანსია გამოქვეყნდა გაყიდვებისა და შესყიდვების კატეგორიაში,** რაც 2024 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 2.2%-ით ნაკლებია.

გრაფიკი 4: Jobs.ge-ზე გამოქვეყნებული ვაკანსიების რაოდენობა, კატეგორიების მიხედვით













შრომის ბაზრის ანალიზი: ბევერიჯის მრუდი

შრომის ბაზრის ეფექტიანობა მცირედით გაიზარდა: სეზონურად შეწონილი ბევერიჯის მრუდის მიხედვით, I კვ. 2025-ში, IV კვ. 2024-თან შედარებით, შრომის ბაზრის ეფექტიანობა მცირედით გაიზარდა - უმუშევრობის დონე და ვაკანსიების გამოცხადების დონე მცირედით შემცირდა.

რეცესია პანდემიის პერიოდში (I კვ. 2020 – II კვ. 2021): პანდემიურ პერიოდში, საქართველოს ეკონომიკა გადავიდა რეცესიის ფაზაში. ამ პერიოდში უმუშევრობის დონე გაიზარდა, ხოლო ვაკანსიების გამოცხადების დონე შემცირდა. I კვ. 2021-ში, COVID-19-ის შეზღუდვების ეტაპობრივად მოხსნის პარალელურად, ბევერიჯის მრუდი გადაადგილდა მარჯვნივ, კოორდინატთა სათავიდან გარეთ, რაც მიანიშნებს შრომის ბაზრის ეფექტიანობის შემცირებაზე.

პოსტ-პანდემიური პერიოდი (III კვ. 2021 – II კვ. 2024): ბევერიჯის მრუდის მიხედვით, ეკონომიკა კვლავ გადავიდა ექსპანსიის ფაზაში. ამ პერიოდში შრომის ბაზრის სიმჭიდროვის დონე გაიზარდა - ვაკანსიების გამოცხადების დონის ზრდასთან ერთად, შემცირდა უმუშევრობის დონე. III კვ. 2022-ში ბევერიჯის მრუდი კიდევ ერთხელ გადაადგილდა - ამჯერად კოორდინატთა სათავისკენ, ვინაიდან უმუშევრობის დონე მკვეთრად შემცირდა, ხოლო ვაკანსიების გამოცხადების დონე მცირედით გაიზარდა, რაც შესაძლოა მიუთითებდეს, რომ შრომის ბაზრის ეფექტიანობის დონე ნელ-ნელა უბრუნდება პანდემიამდელ პერიოდს. II კვ. 2024-ში შრომის ბაზრის ეფექტიანობა კვლავ გაიზარდა.

გრაფიკი 5: ბევერიჯის მრუდი*



ბევერიჯის მრუდი პიემსიჯი კვლევითმა ცენტრმა საქართველოს ეროვნული ბანკის დახმარებით ააგო.

* ბევერიჯის მრუდი ასახავს ვაკანსიების გამოცხადებისა (Y ღერძზე) და უმუშევრობის დონეებს (X ღერძზე) შორის კავშირს. მასზე დაკვირვებით შრომის ბაზრისა და ეკონომიკის მდგომარეობის შესახებ მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიღებაა შესაძლებელი. კერძოდ: ა. მრუდის გადაადგილება მარცხნივ (კოორდინატთა სათავისკენ) შრომის ბაზრის ეფექტიანობის ზრდას ასახავს; ბ. მრუდის გადაადგილება მარჯვნივ (კოორდინატთა სათავიდან გარეთ) შრომის ბაზრის ეფექტიანობის შემცირებას ასახავს; გ. მრუდის გასწვრივ მარცხნივ მოძრაობა აჩვენებს, რომ ეკონომიკა ექსპანსიაში გადადის, ხოლო მრუდის გასწვრივ მარჯვნივ მოძრაობა აჩვენებს, რომ ეკონომიკა რეცესიაში გადადის. ვაკანსიების გამოცხადების დონე და უმუშევრობის დონე შეწონილია სეზონურად.

** ვაკანსიების გამოცხადების დონე გამოითვლება, როგორც ვაკანსიების რაოდენობის შეფარდება დასაქმებულთა რაოდენობისა და ვაკანსიების რაოდენობის ჯამთან, გამრავლებული 100-ზე.

შრომის ბაზრის ინდიკატორები

	2022	2023	2024 I კვ.	2024 II კვ.	2024 III კვ.	2024 IV კვ.	2025 I კვ.
სამუშაო ძალა (ათასი)	1533.6	1596.3	1630.5	1607.6	1633.4	1646.4	1633.6
დასაქმებულები (ათასი)	1283.7	1334.6	1401.9	1387.8	1407.6	1412.5	1394.2
დაქირავებით დასაქმებული (ათასი)	870.9	920.4	952.9	935.8	974.4	978.5	958.3
თვითდასაქმებული (ათასი)	412.1	413.6	448.2	451.5	432.7	433.5	434.7
უმუშევარი (ათასი)	267.9	261.7	228.6	219.7	225.7	233.9	239.4
სამუშაო ძალის მონაწილეობის დონე (%)	51.9	53.3	55.0	54.5	54.7	54.9	54.8
დასაქმების დონე (%)	42.9	44.5	47.3	47.0	47.1	47.1	46.8
უმუშევრობის დონე (%)	17.3	16.4	14.0	13.7	13.8	14.2	14.7
საშუალო ნომინალური ხელფასი (ლარი)	1543.0	1766.8	1943.4	2004.9	2056.7	2217.5	2170.1

წყარო: საქსტატი

ხელფასებისა და გამოქვეყნებული ვაკანსიების მიმდინარე ტენდენციები (კვარტალურად)

გრაფიკი 6: ადამიანთა საშუალო რაოდენობა, რომლებიც იღებენ ხელფასს, სახელფასო კატეგორიების მიხედვით (კვარტალურად)



გრაფიკი 7: ადამიანთა საშუალო რაოდენობა, რომლებიც იღებენ ხელფასს, მათი ზრდა და წილი სახელფასო კატეგორიების მიხედვით (კვარტალურად)



გრაფიკი 8: Jobs.ge-ზე გამოქვეყნებული ვაკანსიების საშუალო რაოდენობა (კვარტალურად)



* 2400+ ლარის მიმღებ პირთა დაფიქსირებული დიდი წილი 2024 წლის მეოთხე კვარტალში სავარაუდოდ გამოწვეული იყო მე-13 ხელფასის მიმღებ პირთა მნიშვნელოვანი რაოდენობით.

წყარო: შემოსავლების სამსახური, Jobs.ge

სამართლებრივი შეტყობინება

ვებგვერდზე წარმოდგენილი პუბლიკაციები მომზადებულია პოლიტიკის და მართვის კონსალტინგ ჯგუფის (PMCG) მიერ მხოლოდ საინფორმაციო და/ან მარკეტინგული მიზნებისთვის. პუბლიკაციებში ასახული ინფორმაცია წარმოადგენს მხოლოდ რჩევას და, შესაბამისად, მკითხველი თავად არის პასუხისმგებელი შინაარსის ნებისმიერ ინტერპრეტაციაზე. PMCG არ იღებს პასუხისმგებლობას მკითხველის მიერ მასალების გამოყენების შედეგად წარმოშობილ პრეტენზიებზე. პუბლიკაცია წარმოდგენილია ისე, „როგორც არის“, ყოველგვარი გამოხატული ან ნაგულისხმევი რეპრეზენტაციისა და გარანტიის გარეშე.

ზემოთ მოყვანილი აბზაცის ზოგად გზავნილთან წინააღმდეგობის გარეშე, PMCG არ იძლევა გარანტიას, რომ:

- პუბლიკაცია მუდმივად ხელმისაწვდომი იქნება;
- რომ პუბლიკაციაში მოცემული ინფორმაცია არის სრული, ჭეშმარიტი, ზუსტი ან არ არის შეცდომაში შემყვანი.

PMCG იტოვებს უფლებას, დროდადრო შეცვალოს პუბლიკაციების შინაარსი ისე, როგორც ამას მიზანშეწონილად ჩათვლის.

PMCG თავიდან იხსნის სხვა მხარეების უფლებების დარღვევასა ან PMCG-ის პუბლიკაციების გამოყენების შედეგად გამოწვეულ ნებისმიერ ზიანზე ყოველგვარ პასუხისმგებლობას. PMCG-ს არ აქვს მკითხველის წინაშე პასუხისმგელობის ვალდებულება (კონტრაქტის კანონით, დელიქტური კანონით თუ სხვაგვარად) პუბლიკაციის შინაარსთან, გამოყენებასა ან პუბლიკაციასთან კავშირის ნებისმიერ სხვა ფორმასთან დაკავშირებით.

მკითხველი აღიარებს, რომ როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის სუბიექტი, PMCG დაინტერესებულია, შეზღუდოს თავისი ოფიცრებისა და თანამშრომლების პირადი პასუხისმგებლობა. მკითხველი თანხმდება, რომ მისთვის პუბლიკაციით გამოწვეული ნებისმიერ დანაკარგის შესახებ პრეტენზიებს არ წამოუყენებს პირადად PMCG-ის ოფიცრებს ან თანამშრომლებს.

მკითხველი თანხმდება, რომ გარანტიებისა და ვალდებულებების შეზღუდვები, რომლებიც მითითებულია ამ სამართლებრივ შეტყობინებაში, იცავს PMCG-ის მკვლევრებს, ოფიცრებს, თანამშრომლებს, აგენტებს, შვილობილ კომპანიებს, მემკვიდრეებს, უფლებამოსილ პირებს და ქვეკონტრაქტორებს, ისევე როგორც თავად PMCG-ს.

თუ ამ სამართლებრივი შეტყობინების რომელიმე დებულება მოქმედი კანონმდებლობით არის ან აღმოჩნდება არ აღსრულებადი, ეს არ იმოქმედებს პუბლიკაციის სხვა დებულებების აღსრულებადობაზეც.

მის.: 61 აღმაშენებლის გამზირი, მე-5 სართული, თბილისი, 0102, საქართველო.
ტელ: (+995) 557170660
ელ. ფოსტა: research@pmcginternational.com
ვებსაიტი: pmcresearch.org

მარიამ ჯაში
უმცროსი მკვლევარი
m.jashi@pmcginternational.com

ამირან კვანტალიანი
ეკონომიკის ანალიტიკოსი
(საკონტაქტო პირი)
a.kvantaliani@pmcginternational.com